



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ლაფანაანთკარი

ლაფანაანთკარი, სოფელი მცხეთა-მთიანეთის რეგიონის დუშეთის მუნიციპალიტეტში, ქართლის ქედის დას. კალთაზე, მდ. აბანოსხევის (არაგვის მარცხ. შენაკადი) ხეობაში. თემის ცენტრი (ლ., აბანოსხევი, ახალი ოსები, დავათი, ზემო უბანი, კოშკასყელი, მალრანი, მწითურები, ნოკორნა, ნოჯა, ნოჯიკეთი, ქერიანთკარი, ხიზნები). ზ. დ. 880 მ, დუშეთიდან 19 კმ. 67 მცხ. (2014).

სოფლიდან სამხრ-ით, 1 კმ-ზე, დგას ბალიანთკარის ეკლესია. აგებულია VI ს. შუა წლებში. სამხრ-იდან აქვს მინაშენი, რ-იც გვიანდ. შუა საუკუნეებს განეკუთვნება. ეკლესია ორნაჟიანია, ნაგებია რიყის ქვით და კირის დულაბით. სოფელში და მის მიდამოებში სხვადასხვა პერიოდის კიდევ რამდენიმე დარბაზული ეკლესიაა. განეკუთვნება ადრეულ, განვით. და გვიანდ. შუა საუკუნეებს. ზოგი მათგანი ძლიერ დაზიანებულია.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, წგ. 2, თბ., 2004.
